

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური
საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის #56/2023 დადგენილების მე-4 პუნქტით დამტკიცებული
შესარჩევი საკონკურსო კომისიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის #78/2024
დადგენილების საფუძველზე ჩატარებული

სხდომის შემაჯამებელი ოქმი №19 (დამატებითი)

ქ. თბილისი, 01 აგვისტო 2024 წელი.
თსუ II კორპუსი, ოთახი 207.

სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

მამუკა მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე);

გიორგი ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მზია ციცავი;

გიორგი ჯიბუტი;

დენიტა ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის #78/2024 დადგენილების თანახმად **ორგანული
და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის** მიმართულებით ჩატარებული საკონკურსო კომისიასთვის
დაბრუნებული საკითხის ხელახლა განხილვა საკონკურსო-სააპელაციო კომისიის
შესაბამისი ოქმებისა და იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის
გათვალისწინებით, კონკურსის შეფასების პირველ ეტაპზე მესამე კატეგორიის შეფასების
განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, მამუკა მაისურაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ
აკადემიური საბჭოს დადგენილებით კომისიას დაევალა საკონკურსო-სააპელაციო
კომისიის შესაბამისი ოქმებისა და იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი
ბარათის გათვალისწინებით კონკურსის შეფასების პირველ ეტაპზე მესამე
კატეგორიის შეფასების განხილვა.

როგორც გადმოცემული მასალებიდან ირკვევა, აღნიშნული კონკურსის თობაზე
შემოსული იყო კონკურსანტ თ. ბუკიას რამდენიმე საჩივარი. საჩივრები ეხება
პრეტენზიების ფართო სპექტრს. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების
თანახმად, კომისიას დაევალა მხოლოდ კონკურსის პირველ ეტაპზე მესამე კატეგორიის
შეფასების განმეორებითი განხილვა. საჩივრებში აღწერილი სხვა პრეტენზიები
განხილულია როგორც სააპელაციო საკონკურსო კომისიის, ასევე იურიდიული
დეპარტამენტის მოხსენებით ბარათში და მიჩნეულია დაუსაბუთებლად. აქედან
გამომდინარე კომისიის მოვალეობაა კიდევ ერთხელ გადაიხედოს პირველი ეტაპის
მესამე კატეგორიის მონაცემები.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებმა: დ.ბიბილიევილიმა, მ.ციცაგმა, გ.ბეზარაშვილმა.

ისინი დაეთანხმნენ გამომსვლელს და კომისიის მიერ კიდევ ერთხელ იქნა გადახედილი შესაბამისი კატეგორიის მონაცემები.

III კატეგორია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

„Google Scholar“ და „Scopus“ სამეცნიერო ბაზებში გადამოწმების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები:

თინათინ ბუკია

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში	7
3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	13
3.3 პატენტები (გამოგონებები)	13
3.4 ციტირების ინდექსი - ... ; h - ინდექსი - ...; g-ინდექსი	ციტირების ინდექსი Google Scholar - 33. Scopus -25 h- ინდექსი Google Scholar - 4 Scopus -3
3.5 მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	54
3.6 მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	6
3.7 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	6
3.8 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	2

ელენე კაცაბე

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში	2
3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	6
3.3 პატენტები (გამოგონებები)	

3.4 ციტირების ინდექსი - ... ; h - ინდექსი - ...; g-ინდექსი	ციტირების ინდექსი 3 (Google scolar) h-ინდექსი 1
3.5 მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	5
3.6 მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	4
3.7 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	4
3.8 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	1

III კატეგორია, გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, ასევე მოიცავს ორ მნიშვნელოვან ქვეპუნქტს:

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი;

სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი.

ორივე ქვეპუნქტი მნიშვნელოვანია კონკურსანტის კომპეტენტურობის დასამტკიცებლად. ამ ქვეკატეგორიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, რომელიც განსხვავებით სტატიებისა, რომელიც კოლექტიური შრომის ნაყოფს წარმოადგენს, მკვლევარის ინდივიდუალური ხედვის, შესაძლებლობების, აზროვნების მასშტაბურობის და სიღრმის დამადასტურებელი უნდა იყოს. ასევე მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, რამდენად შეუწყობს ხელს კათედრის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.

საკონკურსო კომისიამ ორივე კონკურსანტის სტატია ჩათვალია მოთხოვილი დონის შესაბამისად და თანაბრად შეაფასა. რაც შეეხება სამეცნიერო კვლევების კონცეფციას, აქ კონკურსანტ თ. ბუკიას კონცეფცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. წარმოდგენილი ტექსტი არ წარმოადგენს სამეცნიერო კონცეფციას და არის კონკურსანტის პირად შეხედულება კათედრის მუშაობაზე და დაუსაბუთებელი ბრალდებები. შესაბამისად ამ კატეგორიაში შეუძლებელია კონკურსანტს მიეღო მაღალი შეფასება.

შეფასების დადგენილი ფორმის შესაბამისად, კატეგორია ორი კომპონენტით ფასდება. კონკურსანტებმა ამ კატეგორიაში შემდეგი შეფასება დაიმსახურეს:

თ.ბუკია

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას		<input checked="" type="checkbox"/>	

ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას		<input checked="" type="checkbox"/>	
--	--	-------------------------------------	--

ე.კაცაძე

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას	<input checked="" type="checkbox"/>		
ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას		<input checked="" type="checkbox"/>	

მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ, ეს შეფასება წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც კონკურსანტებს საშუალებას აძლევს გადავიდნენ კონკურსის შემდეგ სტადიაზე-გასაუბრებაზე, რომლის ირგვლის შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ მასალებზე და დაადგინეს, რომ III კატეგორიის შეფასება დარჩეს უცვლელი. კომისიის გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით.

თინათინ ბუკიამ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი (1997-2003წწ) ქიმიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის და ქიმიკოს-ექსპერტის, ქიმიის მასწავლებლის კვალიფიკაციით; 2003-2005 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მაგისტრანტი და 2005 წელს მიენიჭა ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ქიმიკოსის კვალიფიკაციით. 2016 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ბენზიმინდაზოლები და დიპეპტიდები; სინთეზი და კვლევა“ და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2011 წლიდან დღემდე არის მეცნიერ მკვლევარი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანული ქიმიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში; 2015 წლიდან დღემდე არის ქიმიური ლაბორატორიების ინსტრუქტორი, (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში); 2015 წლიდან დღემდე ლაბორატორიების და საწყობის მენეჯერი (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში); 2019 წლიდან დღემდე უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვლ.ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტში; 2020 წლიდან დღემდე ლაბორატორიის მენეჯერი/გამგე (დამხმარე პერსონალი) ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამა (თსუ); 2020 წლიდან დღემდე მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი. 2022 წლიდან დღემდე მოწვეული პედაგოგი, ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამა (თსუ); 2023 წლიდან დღემდე

მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (თსუ).

აქვს 7 პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. ციტირების ინდექსი Google Scholar-33, h ინდექსი-4; Scopus- 25, h-ინდექსი 3. თ.ბუკია ჩართულია სამეცნიერო კვლევებში, არის რამდენიმე გრანტის ძირითადი ან დამხმარე შემსრულებელი, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აშშ; კარლსრუეს ტექნოლოგიების ინსტიტუტი; ზაარლანდის უნივერსიტეტი - გერმანია).

ელენე კაცაძემ დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტი (1988-1994წწ) ქიმიკოსის, ქიმიის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 1999-2001 წლებში იყო თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტის ასპირანტი. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „სხვადასხვა აზოტოვანი ჰეტეროციკლების შემცველი ინდოლური სისტემების სინთეზი და კვლევა: ინდოლის ფოტოქრომული და ნუკლეინის მჟავებთან ურთიერთქმედების უნარის მქონე წარმოებულები“. 1996-2005 წლებში თსუ-ის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ლაბორანტი; 2005-2007 თსუ-ს ელემენტური ანალიზის სასწავლო ლაბორატორიის გამგე; 2009 წელს-ორგანული ქიმიის ინსტიტუტი. ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია - პოსტ-დოკი. 2010-2016 სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი, ფარმაციის ფაკულტეტი, თსსუ, მოწვეული პედაგოგი. 2019 წ. მიწვეული მასწავლებელი, Swiss American Academy, შვეიცარია. 2016 წლიდან დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი. 2010 წლიდან კითხულობს ლექციებს, ატარებს სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს სხვადასხვა დისციპლინაში. აქვს პუბლიკაციები (2)იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში. ციტირების ინდექსი 3 (Google scholar); 1-h-ინდექსი. მონაწილეობს საგრანტო პროექტებში, პროექტის ხელმძღვანელად, კოორდინატორად, კონსულტანტად. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია; Swiss American Academy. შვეიცარია)

ე. კაცაძის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში კარგად არის გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, იგი დამაჯერებლად მსჯელობს მისი სამეცნიერო ინტერესებისა და მომავალი გეგმების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ელენე კაცაძის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისათვის საჭიროა ჩატარდეს ღია კენჭისყრა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა კომისიის ყველა წევრი.

მომხრე--3

წინააღმდეგი--2

გადაწყვეტილება მიღებულია,

დაადგინეს: 1. კენჭისყრის საფუძველზე ძალაში დარჩა 2023 წლის 12 ივნისის #56/2023 დადგენილების მე-4 პუნქტით დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის # 16 ოქმი (შემაჯამებელი) 18.03.2024წ. შემაჯამებელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (1 ადგილი) თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა:

ელენე კაცაბე


ორგანული და ბუნებრივი ნაერთთა ქიმიის კათედრა.

1. შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს უნივერსიტეტი ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მამუკა მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე);



გიორგი ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);



მზია ციცაგი (კომისიის წევრი);



გიორგი ჯიბუტი (კომისიის წევრი);



დენიტა ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი)

